DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.11

# სიძულვილის ენა და გენდერი საქართველოში [1]

# HATE SPEECH AND GENDER IN GEORGIA [2]

**სოფიო თოთიბაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

**Sopio Totibadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

**აბსტრაქტი**

მიუხედავად იმისა, რომ გენდერულ-ფემინისტური კვლევები მსოფლიოში 1960-იანი წლებიდან საკმაოდ პოპულარულია, ეს პრობლემა ალბათ არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც დღეს, ჩვენს რეალობაში. მართალია, ქალი და მამაკაცი, კონსტიტუციის მიხედვით, თანასწორნი არიან, საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, რეალური სურათი ძალზედ განსხვავებული და საკმაოდ მძიმეა. კერძოდ, საქართველოში ყოველწლიურად იმატებს ქალზე ოჯახური ძალადობისა და სელექციური აბორტის ფაქტები. არანაკლებია ფემიციდის მსხვერპლი ქალების რიცხვიც.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას სიძულვილის ენასთან მიმართებით, რამდენად ხშირად გამოიყენება ის სოციალურ სივრცეში და გამოავლინოს მისი ენობრივი მახასიათებლები. კვლევა ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ემპირიული მასალა შეკრებილია: 1) ელექტრონულად გავრცელებული კითხვარის პასუხებიდან, 2) სოციალური ქსელებიდან (Facebook, TikTok, Instagram, Youtube). მასალა დამუშავებულია ხელით, რადგანაც, ქართული ენა და სიძულვილის ენა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იშვიათად იძლევა საშუალებას, რომ გამოვიყენოთ კომპიუტერული ლინგვისტური პროგრამები. ელექტრონული კითხვარის პასუხებიდან და სოციალური ქსელებიდან ამოკრეფილი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად

[1] ნაშრომი მხარდაჭერილია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მიერ (YS-21-339).

[2] This paper was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (YS-21-339).

დადგინდა, რომ ქართული საზოგადოება ხშირად იყენებს ქალის წინააღმდეგ სიძულვილის ენას და ეს განპირობებულია განსხვავებული რელიგიური, პოლიტიკური, სექსუალური ორიენტაციისა თუ აზრის მიუღებლობით.

**საკვანძო სიტყვები:** სიძულვილის ენა, გენდერი, ქალთა მდგომარეობა საქართველოში.
**Keywords:** hate speech, gender, situation of women in Georgia.